შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თბილისი
2018

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

2.1.დაწესებულების მიერ განხორციელებად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში პროფესიული საგანმანათლებო პროგრამა) ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
2.2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგს.
2.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას, დანერგვასა და მოდიფიცირებაში.

მუხლი 3. პროფესიული მასწავლებლები

3.1.მოდულის განმახორციელებელი პირი არის პროფესიული მასწავლებელი.
3.2.სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის დაწესებულებას ჰყავს დაწესებულების სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული მასწავლებლები.
3.3.პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მქონე ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
3.4.IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პირს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება და დანერგვა; დამატება და მოდიფიცირება

4.1.დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, სარეგიტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა და პროფესიული მასწავლებლები.
4.2.მოდული არის სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევი სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოდული წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და მტკიცდება პროგრამასთან ერთად. მოდულში ცვლილები ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.
4.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებასა და დანერგვაში მონაწილეობენ პროფესიული მასწავლებლები და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად.
4.5. ადაპტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე.
4.6.დაწესებულების დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის რეკომენდაციის საფუძველზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატებისა და დანერგვის მიზნით მიმართავს დაწესებულების პარტნიორთა კრებას, რომელიც თავის მხრივ ღებულობს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და დანერგვის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძელზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც ავალებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად მოახდინოს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება და დანერგვა.
4.7.ადაპტირებულ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე. ადაპტირებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანეგრვის უფლების მოპოვების მიზნით დაწესებულება შესაბამის განაცხადს წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
4.8.მოდულის სტანდარტულ ჩანაწერში ცვლილებების განხორციელება არ შეიძლება. დახმარე ჩანაწერი არის სარეკომენდაციო ხასიათის და დაწესებულება უფლებამოსილია მოახდინოს მისი ცვლილებები საჭიროების შემთხვევაში. თუ სტანდარტულ ჩანაწერში დაფიქსირებულია ხარვეზები, დაწესებულებამ აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
4.9.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე.
4.10. დირექტორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ინფორმირება განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგების შეფასების სისტემა

5.1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგების შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით.
5.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს დირექტორი.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

6.1.პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროფესიული სტუდენტობის კანდიდატი არის პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი, საშუალო ან საბაზო განათლება.

6.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია.
6.3. მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.
6.4. მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.
6.5. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ განისაზღვრება:
6.5.1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, საფეხური, სწავლის საფასური და ადგილების რაოდენობა;
6.5.2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
6.5.3.წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:
ა)პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
გ)განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი),
დ) 2 ფოტო 3x4 და მისი ელექტრონული ვერსია (დისკზე).
6.5.4.ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების ვადები;
6.5.5.სასწავლო პროცესის დაწყების და დასრულების თარიღი.
6.6.წინამდებარე წესის 6.5.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემამდე აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტების სრულად წარმოდგენა.
6.7.პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი დაწესებულების დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ.
6.8.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
6.9.დირექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
6.10.იმ შემთხვევაში თუ კი დაწესებულებაში განაცხადი შემოიტანა სტუდენტთა იმ რაოდენობამ, რომელიც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის შეირჩევა სკოლის ატესტატის დანართში დაფიქსირებული საბოლოო ნიშნების საფუძველზე.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

7.1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
7.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
ა)პირადი განცხადება;

ბ)მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რაც შეუთავსებელია სწავლასთან;
გ)ფინანსური დავალიანება;
დ)ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობისლის მოვალა;
ე)დაწესებულების შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.
7.3.პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში.
7.4.პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. პროფესიულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსის შეუწყდება თუ კი ზემოაღნიშნულ ვადაში არ აღიდგენს სტატუსს.
7.5.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
7.6.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
7.7.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლას გააგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.
7.8.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

8.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
8.1.1. პირადი განცხადება;
8.1.2. პროფესიული პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
8.1.3. გარდაცვალება;
8.1.4. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას;
8.1.5.სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
8.1.6.დაწესებულების შრომის შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები.
8.2.დაწესებულება ვალდებულია პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.
8.3.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება და სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი თანხა მას არ უბრუნდება.

8.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში პროფესიული სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა პროფესიულ საგანამანათლებლო დაწესებულებაში.

8.6.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი თავიდან მოპოვება დასაშვებია წინამდებარე წესით სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად.

8.7.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე, რომლის გამოცემიდან არაუგვიანეს 5 დღისა მონაცემები აისახება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში. გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.8.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, გადაწყდება მომქმედი კანონმდებოლობისა და დაწესებულების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 9. მობილობა

9.1.პროფესიული სტუდენტის მობილობა არის პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლებისა და კრედიტების აღიარება.

9.2. მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

9.2.1.თუ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

9.1.2.თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა დაწესებულებაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

9.2. მობილობის პროცედურის დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის განცხადება (განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები), რომლის საფუძველზეც დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების და მოდულის ცალკეული შედეგეების დადასტურების თავსებადობის საკითხი. აღნიშნული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით. შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის მობილობის შესახებ.

9.3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი საფეხურის ფარგლებში.

9.4. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც მობილობის დროისათვის წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი

დაწესებულების სტუდენტს, მიუხედავად იმისა შეჩერებული აქვს თუ არა მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
9.5.მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

მუხლი 10. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და კვალიფიკაციის მინიჭება

10.1.პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით.
10.2.პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად აღიარებულ უნდა იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგი.
10.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ საფეხურზე პროფესიული სტუდნტის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების შემდეგ მისი განათლების აღიარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინების საფუძვლზე გამოცემული დირექტორის ბრძანებით.
10.3.პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭება აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
10.4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.
10.5.დირექტორის ბრძანების საფუძველზე მზადება და გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და მოწმდება დაწესებულების ბეჭდით.
10.6. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული საფეხური შეიძლება მიეცეს დირექტორის მიერ ხელმოწერილი და დაწესებულების ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი.
10.7. პროფესიული დიპლომის რეგისტრაციაში გატარების წესი განსაზღვრულია დაწესებულების საქმისწარმოების ერთიან წესებით.
10.8. პროფესიული განათლების აღიარებასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დადგენილი წესით ინახება დაწესებულებაში შემდგომი დამუშავებისა და არქივში გადაცემისათვის.

მუხლი 11. არაფორმალური განათლების აღიარება

11.1. არაფორმული პროფესიული განათლება არის პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისგან დამოუკიდებლად.
11.2.არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების მე-4 და მე-5 საფეხურის ფარგლებში.
11.3.არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური პროფესიული განათლების მქონე პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.
11.4. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით დარეგულირდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

12.1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს ქვემოთ მოცემულ მექანიზმებს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით:

ა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანმანთლებლო დაწესებულებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე ან მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ბ. დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას.

გ. დაწესებულება სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შეცვლილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ მონათესავე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც თავად ახორციელებს.

12.2. წინამდებარე მუხლის 12.1. პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარება.

12.3. წინამდებარე მუხლის 12.1. პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში თუ კი პროფესიული სტუდენტი წერილობით უარს განაცხადებს არსებულ მექანიზმებზე, დაწესებულება ახორციელებს შესაბამისი სერთიფიკატის/ცნობის გაცემას აღნიშნული პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების საფუძველზე.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

13.1.პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

13.2.განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

13.3.განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

13.4.დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები მათი მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ასახოს დაწესებულების მართვის ელექტრონული სისტემაში.

13.5. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ.

13.6. ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში სწავლის შედეგის ორჯერ ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა განმეორებით გაიაროს მოდული, რისთვისაც ვალდებულია გადაიხადოს ზემოაღნიშნული მოდულის განმეორებით გავლის საფასური, რომელიც განისაზღვრება პროფესიული სტუდენტისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ერთი კრედიტის ღირებულება კი განისაზღვრება წინამდებარე წესის მიხედვით.

13.7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან (პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების შედეგის გაცნობა ხორციელდება დაწესებულების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით; შეფასების შედეგი პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობილად მიიჩნევა აღნიშნული შედეგის დაწესებულების მართვის ელექტრონული სისტემაში ასახვის მომენტიდან) 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი განცხადების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკითხის შემსწავლელი დროებით კომისია (კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის პროფესიული მასწავლებელი) და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა. კომისია პროფესიული სტუდენტის განცხადების სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან ახორციელებს პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელ შეფასებას, რომლის შედეგების საფუძელზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის განცხადებაზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყონებლივ.

13.8. კალენდარულს გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც განიხილავს და ვერიფიკაციის შემთხვევაში ადასტურებს მათ. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების დროს პროფესიული მასწავლებლისათვის რეკომენდირებულია წინამდებარე წესის დანართი 1 - ით ხელმძღვანელობა (დანართი 1 წარმოადგენს წინამდებარე წესის განუყოფელ ნაწილს). პროფესიული მასწავლებელი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს თუ რომელ კრიტერიუმს გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას.

13.9. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას. ყველა სწავლის შედეგი დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებით.

13.10.შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ მასწავლებელს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.

13.11.შესრულების მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან 1 წლის ვადით, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება დაწესებულების საქმისწარმოების ერთიანი წესებით გათვალიწინებული პროცედური შესაბამისად.

13.12.შესრულების მტკიცებულებები მოიცავს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

13.13.სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

13.14.სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ.

13.15.კონკრეტული მოდულის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

13.16.პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგი ფორმდება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისით.
13.17.პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კი გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.
13.18.პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი

14.1.შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებისა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:
ა)დაწესებულების შენობაში თავისუფლად შეღწევის შესაძლებლობას;
ბ)აუცილებლობის შემთხვევაში დაცვა-უსაფრთხოების მუშაკის/მუშაკების გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.
14.2.საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
14.3. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების დირექტორს.

მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღრა

15.1.დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა.
15.2. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.
15.3. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, პროექტორით.

15.4. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით - ინვენტარით.
15.5. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.
15.6. დასაშვებია სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდელის (A,B და C სასწავლო გარემო) ერთ სივრცეში განთავსება.
15.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.
15.8. B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.
15.9. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის 15.7. და 15.8. პუნქტებით გათვალისწინებულ რაოდენობებს შორის უმცირესს.
15.10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ან C სასწავლო გარემოს ფართი.
15.11. ოც პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.
15.12. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო ავტორიზაცის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში მითითებული ადგილების რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 16. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი

16.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა. ამისათვის დაწესებულებაში იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი.
16.2.შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობა, ფუნქციები და ვალდებულებები განისაზღვრება დაწესებულებაში მომქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესის შესაბამისად, რომლის საფუძველზე დაწესებულების დირექტორი ქმნის შიდა მხარდაჭერის ჯგუფს და ამტკიცებს მის სამოქმედო გეგმას.

მუხლის17. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები

17.1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალ მოდულებში მითითებული მასალებისა და ნედლეულის როდენობის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფესიულ მასწავლებლებთან

კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს დირექტორს მოთხოვნას შესაძენი მასალებისა და ნედლეულის შესახებ შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
17.2.სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს დაწესებულების დირექტორი.
17.3.მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა გამოყენების მომენტისათვის.
17.4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის შესაბამისის წესების დაცვით.
17.5.მოდულის დასრულების შემდეგ დგება ანგარიში გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ და გაუხარჯავი მასალები და ნედლეული ბრუნდება უკან შესაბამისი პროფესიული მასწავლებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი.18 სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

18.1.სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს მომქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემომყოფ პირებს.
18.2.წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი და პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება დაწესებულების დირექტორს.

მუხლი 19. სწავლი საფასური

19.1.დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის სრული საფასური განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე (1 კრედიტის საფასური არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული საფასური გაყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მთლიან რაოდენობაზე).
19.2.უცხო ქვეყნის მოაქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შეიძლება დაწესდეს სწავლების განსხვავებული საფასური.
19.3.სწავლის საფასურთან დაკავშირებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეღავათები შემდეგი პირების მიმართ:

ა)ომისა და შეირაღებული ძალების ვეტერანები და მათი შვილები;
ბ)იძულებით გადაადგილებული პირები;
გ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაზარელებული მოქალაქეები;
დ)I და II ჯგუფის შშმ პირები;
ე)ორივე მშობლით ობოლი პირები, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას;
ვ)სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი პირები;
ზ)ერთი ოჯახიდან ერთზე მეტი პირის სწავლის შემთხვევაში;
თ)პირი, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახიდან.

19.4.სწავლის საფასურის გადახდაში შეღავათის განხორციელების საკითხი განიხილება პროფესიული სტუდენტის მიერ დაწესებულღების დირექტორის სახელზე განცხადებისა და წინამდებარე მუხლის 19.3. პუნქტით გათვალისწინებული კატეგორიისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.
19.5.ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდაში დაწესებული შეღავათის სახე და ოდენობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, არსებულ გარემოებათა გათვალისწინებით.

მუხლი 20. დასკვნით დებულებები

20.1. წინამდებარე წესს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი, ბრძანებით.

20.2. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამტებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

დანართი 1

შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები

№	ინსტრუმენტი	მტკიცებულება	პროცესზე დაკვირვება	მტკიცებულების (პროდუქტის / შედეგის) შეფასება	გამოკითხვა (აკადემიური უნარები)
1	**ტესტი**				
1.1	„ჭეშმარიტია/მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები	შევსებული ტესტი			
1.2	მტკიცებულების / მიზეზის შემცველი კითხვები (მრავალი არჩევითი პასუხით)	შევსებული ტესტი			
1.3	გამოტოვებული სიტყვების ჩასმა	შევსებული ტესტი			
1.4	კითხვები - შესაბამისობის დადგენა	შევსებული ტესტი			
1.5	ბადისებრი შეკითხვები	შევსებული ტესტი			
1.6	კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით	შევსებული ტესტი			
1.7	მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები	შევსებული ტესტი			
1.8	კითხვები შეზღუდული არჩევანით	შევსებული ტესტი			
2	წერითი დავალება (წერითი ნაშრომი)	წერითი ნაშრომი			

3	შემთხვევის შესწავლა (Case Study)	წერითი ნაშრომი შევსებული შეფასების სქემა (Checklist)			
4	კითხვები ღია დაბოლოებით	შევსებული ტესტი			
5	ზეპირი შეკითხვები (შეიძლება წარმოადგენდეს ყველა მიმართულების შემადგენელ ნაწილს)	შევსებული შეფასების სქემა(Checklist) ან/და აუდიო ჩანაწერი			
6	სტრუქტურირებული შეკითხვები	წერითი ნაშრომი შევსებული შეფასების სქემა (Checklist)			
7	პროექტი	წერილობითი ანგარში ან/და ელექტრონული ფაილი			
8	პროფესიული განხილვები	პორტფოლიო; მასწავლებლის ჩანაწერი; აუდიო ან/და ვიდეო ჩანაწერი			
9	პრაქტიკული დავალება	შექმნილი პროდუქტი; დაკვირვების ჩანაწერი; ფოტო სურათები; ვიდეო ჩანაწერი;			

		პრაქტიკის დღიური; ელექტრონული ბლოგი			
10	როლური თამაში	მასწავლებლის შევსებულიშეფასების სქემა(Checklist); ვიდეო ჩანაწერი			
11	სიმულაცია	მასწავლებლის შევსებულიშეფასების სქემა(Checklist);			